პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 9 სექტემბერი, 1944 წ. № 183 (7136). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გამარჯვების მძლავრი იდეური იარაღი. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 8 სექტემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

ბულგარეთის საქმეები (1-ლი გვერდი).

როგორ იცავდნენ ბულგარეთის მმართველები „სრულ ნეიტრალიტეტს“ (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის საწარმოების ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს. სტალინის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ავტოქარხნის კოლექტივის მიმართვა (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები: მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა. საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა. მოკავშირეთა ჯარებმა სედანი დაიკავეს. ბრძოლები იუგოსლავიაში. ამერიკის ავიაციის თავდასხმა გერმანიის ქარხნებზე (მე-2 გვერდი).

გამარჯვების მძლავრი იდეური იარაღი

ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება ყოველთვის წარმოადგენდა ბოლშევიკური პარტიის ერთერთ ძთავარ საზრუნავს.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ მხოლოდ რევოლუციური თეორია აძლევს პრაქტიკოსებს შესაძლებლობას სწორად გაერკვნენ ვითარებაში, გაიგონ არა მარტო ის, თუ რა გზით ვითარდებიან ცოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ საით უნდა წარიმართოს ისინი მომავალში.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ „ცოწიაავე ეპარძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“, რომ „თეორია, თუ კი იგი ნამდვილი თეორიაა, აძლევს პრაქტიკოსებს ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადეს, რწმენას მუშაობაში, ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას“.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ მხოლოდ იმ კადრებს, რომლებიც ჰფლობენ რევოლუციურ თეორიას და სისტემატურად იმაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, შეუძლიათ ყველაზე მეტი ნაყოფიერებით იმუშაონ სამშობლოსათვის, გადალახონ ყველა წინააღმდეგობა, ყველა სიძნელე მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის ბოლშევიკური პარტიისა და პირადად დიდი **სტალინის** ზრუნვის შესანიშნავ გამოხატულებას წარმოადგენს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის შექმნა.

ექვსი წლის წინათ დაიწყო „პრავდის“ ფურცლებზე ამ შესანიშნავი შრომის ბეჭდვა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის გამოსვლა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ბოლშევიკური პარტიის იდეურ ცხოვრებაში.

„მოკლე კურსში“ სტალინური ხელმძღვანელობა ჩვენი კადრების იდეური შეიარაღებისათვის კიდევ უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე. ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ცოდნა შესაძლებლობას იძლევა გაერკვეთ თანამედროვე საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში, ღრმად შევისწავლოთ დიდი სტალინის ნაშრომი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, რომელიც „მოკლე კურსის“ პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს.

ამხანაგ **სტალინის** მოხსენებები, სიტყვები და ბრძანებები დიდი სამამულო ომის პერიოდში წარმოადგენენ უძვირფასეს განძს მარქსიზმ-ლენინიზმის საუნჯეში. ისინი ხსნიან ახლანდელი ომის მთელს კანონზომიერებას, განაზოგადებენ მთელი საბჭოთა ხალხის უმდიდრეს პოლიტიკურ, სამხედრო და სამეურნეო გამოცდილებას და გვიჩვენებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების გზას. ისინი პასუხს იძლევიან მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკის მრავალრიცხოვან საკითხებზე და გვიჩვენებენ ძლავრი ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვების გზებს.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან კოძუნისტთა იდეური შეიარაღების საქმის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, ამხანაგ სტალინის მოხსენებების, სიტყვების, ბრძანებების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის უდიდესი თეორიული სიმდიდრის ათვისებისათვის.

ათეულ ათასობით ჩვენი კადრები დამოუკიდებლად სწავლობენ ამ ისტორიულ ნაშრომებს, იმაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს. პარტიული ორგანიზაციები მათ დასახმარებლად რეგულარულად აწყობენ ლექციებსა და კონსულტაციებს, მოხსენებებსა და სიმინარებს. მსურველთათვის შექმნილია წრეები პარტიის ისტორიის, მიმდინარე პოლიტიკის, ამხანაგ სტალინის შრომების შესასწავლად. ეწყობა ამხანაგური საუბრები თეორიულ თემებზე და თეორიული კონფერენციები.

მაგრამ იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების დარგში ბევრგან ნაკლოვანებებიც არის.

რა ნაკლოვანებებია ეს?

პირველი მთავარი ნაკლი ის არის, რომ ბევრი ჩვენი ამხანაგი სისტემატურად არ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ხოლო ზოგიერთმა სავსებით შესწყვიტა თავის თავზე მუშაობა. ეს იმის შედეგიცაა, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები არ უწევენ კონტროლს, თუ როგორ ასრულებენ კომუნისტები თავიანთ საწესდებო მოვალეობას, როგორ მუშაობენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დასაუფლებლად. თავის თავზე დამოუკიდებლად მუშაობა თეორიის შესწავლის მთავარი მეთოდია, მაგრამ იმას, ვინც დამოუკიდებლად მუშაობს, სისტემატურ კონტროლსა და დახმარებას უნდა ვუწევდეთ. სწორედ ამას არ ახორციელებს ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია.

მეორე ნაკლი ის არის, რომ ზოგან პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ უთმობს პოლიტგანათლების წრეების მუშაობას. წრე ზოგჯერ სწორად არ არის დაკომპლექტებული. პროპაგანდისტი მოუმზადებლად მიდის მეცადინეობაზე. ცოცხალი საუბარი შეცვლილია მშრალი კითხვა-პასუხით, წრის მსმენელები თავის თავზე არ მუშაობენ, ხოლო პარტიული ორგანიზაციები ამ ნაკლოვანებებს დროზე არ ასწორებენ. პარტიულ კრებებზე იშვიათად ისმება საწრეო მუშაობის გაუმჯობესების საკითხი. წრე თავისი თავის ანაბარა არის მიტოვებული. ამიტომაც არის შემთხვევები, რომ წრე ძლიერ მცირე ნაყოფს იძლევა.

ნაკლოვანებები არის სალექციო და საკონსულტაციო მუშაობაშიც. ბევრგან ლექციების ოემატიკა ერთფეროვანია, შეზღუდული. ჯერ კიდევ ცოტა ლექციები იკითხება პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე. არის შემთხვევები, როცა ლექციისა და კონსულტაციის ორგანიზაციის დროს მხედველობაში არ იღებენ აუდიტორიის შემადგენლობას. მოთხოვნილებებს. მოისუსტებს კონტროლიც ლექციების ხარისხზე. პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტის მდივნები ვალდებული არიან კარგად იცნობდნენ თავიანთ ლექტორებს, ესწრებოდნენ მათ ლექციებს, აძლევდნენ სათანადო მითითებებს. ბევრგან ეს ჯერ კიდევ არ კეთდება.

ბეჭდვითი პროპაგანდა — პროპაგანდის მთავარი ფორმაა. ამ დარგშიაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენი გაზეთები ვალდებული არიან მეტი მასალები ბეჭდონ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დასახმარებლად. უნარიანად განაზოგადონ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გამოცდილება, მეტად შეუწყონ ხელი პარტიულ ორგანიზაციებს იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებაში.

სამამული ომის პერიოდში მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ კიდევ ერთი ბრწყინვალე გამოცდა ჩაიბარა. ომმა გვიჩვენა ლენინ-სტალინის მოძღვრების მთელი სიდიადე, ბოლშევიკური იდეების უძლეველი ძალა.

უკეთ ვიმუშაოთ ამ იდეებით კადრების, ჩვენი ხალხის შეიარაღებისათვის, მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დარგში.—აი რა გვინდა ჩვენ.

ნი ათასი ახალგაზრდა მეგალურგი

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, რომლებიც შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატს საწარმოებისათვის კვალიფიციურ მუშებს ამზადებენ, მიმდინარე წელს მიიღებენ 51 ათას მოსწავლეს. ახალგაზრდობის ასეთი რიცხოვნობა პირველად იქნება სკოლებში. შარშან მიღებული იყო 30 ათასი კაცი. დიდი ყურადღება ეთმობა კადრების მომზადებას განთავისუფლებული რაიონებისათვის. ექვსი თვის სწავლის შემდეგ 20 ათასი ახალგაზრდა მუშა გაგზავნილი იქნება სამხრეთის მეტალურგიულ ქარხნებში. კრივოროჟიესა და ნიკოპოლის ბასეინებში. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

8 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

8 სექტემბრის განმავლობაში ჭალაქ ლომჟის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები გაწაგრძობდნენ ბრძოლების წარმოებას თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად და განდევნეს მოწინააღმდეგე რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან.

რუმინეთში ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და რუმინეთის ჯარებთან ერთად დაიკავეს ჭალაქი **სიბიუ**, აგრეთვე დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **კერიშანი, ბოგდანეშტი, სლავიცეშტი, კოშოვენი-დე-ჟოსი, ლეუ, დიოშტი.** დამატებითი ცნობებით, იმ ტყვეთა შორის, რომლებიც ხელთ იგდეს უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, აღმოჩნდნენ პლოეშტის ნავთის რაიონის ყოფილი კომენდანტი გერმანელი გენერალ-მაიორი **არტურ ბრანტი** და პლოეშტის რაიონის საჰაერო დაცვის გერმანელთა ბრიგადის მეთაური გენერალ-მაიორი **ტეშნერი.**

8 სექტემბერს ჩვენი ჯარები გადავიდნენ რუმინეთ-ბულგარეთის საზღვარზე **ჯურჯუს, მანგალიას** უბანზე, წინ წაიწიეს 30-დან 65-მდე კილომეტრით და დაიკავეს **რუსე (რუშჩუკი), ტურტუკაი, სილისტრა, დობრიჩი,** ჭალაქი და ნავსადგური **შავ ზღვაზე ვარნა** და დიდი დასახლებული პუნქტები **სარსინლარი, კარაველიკიოი, ალფატარი, ტოკალი, კოჩუმარი, ჩამურლია, ბალაჯა.** ბულგარეთის ჯარებმა ვერ გაბედეს წინააღმდეგობა გაეწიათ ჩვენი ჯარებისათვის.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავთა ძიება და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

7 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახრიანეს და მოსპეს გერმანელთა 13 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 9 თვითმფრინავი.

* * *

ჭალაქ ლომჟის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ განდევნეს გერმანელები რამდენიმე დასაყრდენ პუნქტიდან. ხელთ ვიგდეთ 2 თვითმავალი ქვემეხი, 24 ტყვიამფრქვევი და 10 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად. ჰიტლერელები ხუთჯერ ზედიზედ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. სხვა უბანზე საბჭოთა ჯარები გარს შემორტყმენ გერმანელთა ასეულს და მოსპეს ივი. წმოყვანილია ტყვეები.

* * *

რუმინეთში ჩვენმა მოძრავმა ქვეგანაყოფებმა და ქვეითმა ჯარმა გუშინ დაიკავეს ქალაქი რიმნიკულ-ვილჩა და გაეშურნენ გზატკეცილის გასწვრივ ჩრდილოეთისაკენ. მოწინააღმდეგე იყენებდა ხელსაყრელ პოზიციებს ტრანსილვანიის ალპების მთებში და ცდილობდა შეეკავებინა ჩვენი წაწილები. საბჭოთა ტანკისტებმა და მოტოქვეითმა ჯარმა, რომლებიც თავის გზაზე სპობდნენ გერმანელთა რაზმებს, რუმინეთის ჯარებთან ერთად დაიკავეს გზატკეცილებისა და რკინიგზების მნიშვნელოვანი კვანძი ქალაქი სიბიუ. მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ მოიყვანა რეზერვები, ჩაება ბრძოლაში ქვეითი ჯარის დიდი ძალები, რომელთაც მხარს უჭერდნენ ტანკები და თვითმავალი ქვემეხები. გერმანელთა და უნგრელთა ნაწილები თავდაპირველად რამდენადმე სოლივით შეიჭრნენ რუმინეთის ჯარების განლაგებაში. ამ დროს მოსულმა საბჭოთა ჯარებმა რუმინელებთან ერთად მოიგერიეს მტრის ყველა კონტრიერიში და აიძულეს ივი სასწრაფოდ დაეხია უკან. წამოღებულია დიდძალი დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჭალაქ იელგავას (მიტავას) სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშებზე და ცდილობდნენ უკანვე დაებრუნებინათ გუშინ დაკარგული პოზიციები. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე და მტკიცედ ინარჩუნებენ დაკავებულ ზღუდეს. ჩვენი პოზიციების მისადგომებზე დარჩა მტრის 140 გვამი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 8 ტყვიამფრქვევი და 2 ნაღმსატყორცნი.

* * *

1944 წლის 23 ივნისს დაწყებული შეტევის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 41 გერმანელი გენერალი, მათ შორის კორპუსების 8 მეთაური, დივიზიების 24 მეთაური, დიდი ქალაქების (მოგილიოვის, ბობრუისკის, ლიუბლინის, იასის, კიშინიოვისა და პლოეშტის) 6 კომენდანტი. გერმანიის მე-6 არმიის სარდლის თანაშემწე, გერმანიის მე-9 არმიის საინჟინრო სამსახურის უფროსი და ბრძოლაში ქვეითი ჯარის დიდი ძალები, რომელთაც მხარს უჭერდნენ ტანკები და თვითმავალი ქვემეხები. გერმანელთა და უნგრელთა ნაწილები თავდაპირველად რამდენადმე სოლივით შეიჭრნენ რუმინეთის ჯარების განლაგებაში. ამ დროს მოსულმა საბჭოთა ჯარებმა რუმინელებთან ერთად მოიგერიეს მტრის ყველა კონტრიერიში და აიძულეს ივი სასწრაფოდ დაეხია უკან. წამოღებულია დიდძალი დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჭალაქ იელგავას (მიტავას) სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშებზე და ცდილობდნენ უკანვე დაებრუნებინათ გუშინ დაკარგული პოზიციები. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე და მტკიცედ ინარჩუნებენ დაკავებულ ზღუდეს. ჩვენი პოზიციების მისადგომებზე დარჩა მტრის 140 გვამი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 8 ტყვიამფრქვევი და 2 ნაღმსატყორცნი.

* * *

1944 წლის 23 ივნისს დაწყებული შეტევის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 41 გერმანელი გენერალი, მათ შორის კორპუსების 8 მეთაური, დივიზიების 24 მეთაური, დიდი ქალაქების (მოგილიოვის, ბობრუისკის, ლიუბლინის, იასის, კიშინიოვისა და პლოეშტის) 6 კომენდანტი. გერმანიის მე-6 არმიის სარდლის თანაშემწე, გერმანიის მე-9 არმიის საინჟინრო სამსახურის უფროსი და პლოეშტის ნავთის რაიონის საჰაერო დაცვის ბრიგადის მეთაური.

* * *

ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანიის 28-ე საარმიო კორპუსთან არსებული ნაცისტური ხელმძღვანელობის განყოფილების 1944 წლის 4 აგვისტოს საიდუმლო სადირექტივო წერილი № 40/44 ასეთი სათაურით: „1944 წლის 20 ივლისის ამბების განმარტების შესახებ“ (1944 წლის 20 ივლისს მოხდა გერმანელი გენერლებისა და ოფიცრების თავდასხმა ჰიტლერზე). ამ საიდუმლო წერილში ნათქვამია: „ფიურერმა ხაზი გაუსვა და გამოარტა, რომ კრიზისულ მომენტებში აღმასრულებელი ძალაუფლება ცალკე რაიონებში არ უნდა იყოს არმიის ან ცალკე გენერლების ხელში, განსაკუთრებული კრიზისების დროს, როცა ჩვენ საფრთხე გვემუქრება, ძალაუფლება უნდა იყოს გაულაიტერების (ნაცისტური პარტიის ორგანიზაციების ადგილობრივი ხელმძღვანელების) ხელში უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე ყოფილა“. დირექტივის ბოლოს წინადადება არის მოცემული: „წაკითხვის შემდეგ ეს წერილი მოსპეთ“.

ამრიგად, ცხადია, რომ ყველაფერი, რის შესახებაც ჰიტლერელები წინათ იუწყებოდნენ პრესაში და რადიოთი 20 ივლისის ამბების შესახებ, მხოლოდ კვამლის საბურველი იყო. ჰიტლერი და მისი ხელქვეითნი „შეთქმულთა ბცირე ჯგუფის“ შესახებ ლაყბობით ცდილობდნენ დაეფარათ ის ფაქტი, რაც ღრმის ფაშისტური ორგანიზმს. ისინი ცდილობდნენ დაეფარათ ნამდვილი ფარგლები შინაგანი კრიზისისა, რაც გერმანიას მოედო. და დაერწმუნებინათ ჯარისკაცები და ოფიცრები, რომ გერმანიის არმია, თითქოს, წინანდებურად ერთიანია.

ჩვენი ჯარების მიერ ხელში ჩაგდებული საიდუმლო წერილი გათვალისწინებულია, ფაშისტი მოხელეების ვიწრო წრისათვის და ამითომ რამდენადმე ამეღვნებს აქმის ნამდვილ ვითარებას. ეს წერილი მოწმობს, რომ ჰიტლერელები ახლა უკვე აღარ ენდობიან არმიასა და მის გენერლებს. საქმე რომ ნამდვილად „ცოლაფერება მცირე ჯგუფს“ ეხებოდეს, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა ასე ღონე-ყოფრეს მოდება. ჰიტლერი შემთხვევით როდი აფრთხილებს თავის გაულაიტერებს არმიისა და გენერლების ხელში ძალაუფლების დატოვების საფრთხის შესახებ. ფაშისტური ბრალის მეთაურები გენერლებსა და ოფიცრებში ხედავენ არასაიმედო, საშიშ ადამიანებს, რომლებსაც უნდა ერიდო და რომლებიც პირველსავე მარჯვე შემთხვევაში თავიდან მოიცილო. ჰიტლერი სწორედ ამიტომ აძლევს წვრადდებას გაულაბტერებს „კრიზისულ წუთებში“ ჩამოართვან ძალაუფლება გენერლებს და თვითონ აიღონ ხელთ მართვის ყველა სადავე.

უკრაინის სსრ პარტიზანთა დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია უკრაინის სსრ პარტიზანთა დიდი ჯგუფი.

მათ შორის დაჯილდოებული არიან: **წითელი დროშის** ორდენით — **შოთა სიმონის-ძე გოგობერიძე; სამამული ომის I ხარისხის** ორდენით — **ელიოზ არჩილის-ძე ვახტანგაშვილი. წითელი ვარსკვლავის** ორდენით — **მიხეილ აბრამის-ძე ქავთარაძე, ივანე იპოლიტეს-ძე კაპანაძე;** მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის“** — **შალვა გიორგის-ძე გორდელაძე.**

ბელორუსიის სსრ პარტიზანთა დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის და პარტიზანული მოძრაობის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ბელორუსიის სსრ პარტიზანთა დიდი ჯგუფი.

მათ შორის დაჯილდოებული არიან: **წითელი დროშის** ორდენით — **ვლადიმერ მანუელის-ძე თალაკვაძე, დავით ლეონტის-ძე თავაძე** და **გრიგოლ კონსტანტინეს-ძე შერვაშიძე; წითელი ვარსკვლავის** ორდენით — **ანდრია იაგორის-ძე ბერლიძე, ივანე იაგორის-ძე გორგიშვილი, გიორგი სტეფანეს-ძე ჯამიაშვილი, მამია პლატონის-ძე ზაქრაძე, მოსე ნიკოლოზის-ძე ოთარაშვილი** და **ზაქარია ილიას-ძე წიკლაური.**

როგორ იცავდნენ ბულგარეთის მმართველები „სრულ ნეიტრალიტეტს“

კონსტანცა, 7 სექტემბერი (საკდესი). აქ ცნობილი გახდა ზოგიერთი მასალა გერმანიის იმ გემების რაოდენობის შესახებ, რომლებიც თავშეფარებული არიან ბულგარეთის ტერიტორიულ წყლებში ბულგარეთის პროფაშისტური მმართველების მიერ, რომლებმაც რამდენიმე დღის წინათ გამოაცხადეს „სრული ნეიტრალიტეტის“ პოლიტიკა.

ამ მასალების თანახმად, მარტო ნავსადგურ რუშჩუკში თავშესაფარი ჰპოვა გერმანიის 112 სხვადასხვა ტიპის სამხედრო გემმა. მათ შორის 12 დიდი სამხედრო გემი; 29 ხომალდი და სანაღმო ტრალერი, სადესანტო კარჭაპი, სამხედრო ტრანსპორტი და სხვ. ამალებოდნენ ბულგარეთის სხვა ნავსადგურებში. ვარნისა და ბურგასის რაიონში გერმანელებს მიეცათ შესაძლებლობა 26 აგვისტოდან 30 აგვისტომდე. ჩაეძირათ 74 სამხედრო გემი, მათ შორის 7 წყალქვეშა ნავი, 32 სანაღმო ტრალერი, 4 დიდი სამხედრო ტრანსპორტი, 26 სადესანტო კარჭაპი.

როგორც იუწყებიან, ბულგარეთის მთავრობას არ მოუხდენია გერმანიის გემების იკაპიტანების ინტერნირება და ეს რაზმები გერმანიაში გაგზავნა.

ბულგარეთის საქმეები

5 სექტემბერს საბჭოთა კავშირმა ურთიერთობა გასწყვიტა ბულგარეთთან და ომის მდგომარეობა გამოაცხადა სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ იმის შედეგად, რომ ბულგარეთი, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის გაუთავებელი სამხედრო მდგომარეობა მას სრულ შესაძლებლობას აძლევდა გაეწყვიტა ურთიერთობა გერმანიასთან და ამრიგად ბოლო მოეღო თავისი პრო-გერმანული პოლიტიკისათვის, განაგრძობდა ურთიერთობის შენარჩუნებას გერმანიასთან, იფარავდა გერმანელებს ბულგარეთის ტერიტორიაზე და შეუძლებლობას აძლევდა მათ შეექმნათ იქ ახალი პლაცდარმი მოკავშირეთა ძალებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

საბჭოთა ნოტის გამოქვეყნების შემდეგ ბულგარეთის მთავრობის წარმომადგენლებმა — ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ბ-ნმა სარაფოვმა და ამ სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ბ-ნმა ალტინოვმა 5 სექტემბერს ღამით ინახულეს საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული სოფიაში დ. გ. იაკოვლევი და ბულგარეთის მთავრობის სახელით სთხოვეს ეცნობებინა საბჭოთა მთავრობისათვის, რომ ბულგარეთმა გასწყვიტა თავისი ურთიერთობა გერმანიასთან და რომ ბულგარეთის მთავრობა სთხოვს საბჭოთა მთავრობას ზავის დადებას.

მიუხედავად ამ ოფიციალური განცხადებებისა, ბულგარეთის მთავრობამ 6 სექტემბერს გამოაცხადა მხოლოდ ის, რომ მან მიმართა საბჭოთა მთავრობას თხოვნით დროებითი ზავის შესახებ, მაგრამ არაფერი არ განუცხადებია გერმანიასთან კავშირის გაწყვეტის თაობაზე. ამრიგად, გამოაშკარავდა წინააღმდეგობა ბულგარეთის მთავრობის იმ განცხადებასა, რომელიც მან გაუკეთა საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულს სოფიაში, და იმ განცხადებას შორის, რომელიც ბულგარეთის მთავრობამ საჯაროდ გააკეთა. ასეთ ორჭოფულ მდგომარეობას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია საბჭოთა მთავრობის მხრივ უნდობლობა ბულგარეთის მთავრობის პოზიციისადმი. ამის გამო საბჭოთა მთავრობას არ შეიძლო შესდგომოდა დროებითი ზავის შესახებ ბულგარეთის მთავრობის თხოვნის განხილვას.

მხოლოდ 7 სექტემბერს გამოაცხადა ბულგარეთის მთავრობამ, რომ მან გასწყვიტა ურთიერთობა გერმანიასთან.

8 სექტემბერს ბულგარეთის მთავრობამ ომი გამოუცხადა გერმანიას.

ამჟამად საბჭოთა მთავრობამ შესაძლებლად სცნო მიეღო განსახილველად ბულგარეთის მთავრობის თხოვნა დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყებაზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა კავშირის საწარმოების ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს

სტალინის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ავტოქარხნის კოლექტივის

მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი. ჩვენი სამშობლოს ხალხები ამ მნიშვნელოვან თარიღს ხვდებიან ახალი გამარჯვებებით სამამულო ომის ფრონტებზე და ზურგში.

წითელი არმიის ძლევამოსილმა შეტევამ გამოიწვია გერმანიის არმიის უდიდესი დამარცხება. წითელი არმია სდევნის დაჭრილ ფაშისტ მხეცს შორს საბჭოთა მიწა-წყლიდან, რომ მოულოს მას ბოლო მისსავე საკუთარ ბუნაგში. დამსჯელი მახვილი შურისძიებისა აღიმართა ჰიტლერული გერმანიისა და მისი ვასალების თავზე.

წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის წინაამხანაგ ატალინის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების შესრულება მოითხოვს ზურგის თვითეული მშრომელისაგან მთელი ძალების, მთელი ენერგიის დაძაბვას იმ მიზნით, რომ მთლიანად უზრუნველყოფილ იქნეს წითელი არმიის მზარდი მოთხოვნილება ტანკებზე, თვითმფრინავებზე, ავტომობილებზე, საომარ მასალაზე, საბურველზე და სხვა საბრძოლო ტექნიკაზე.

შესანიშნავია ამხანაგ სტალინის მზრუნველობით შექმნილი საბჭოთა სოციალისტური ინდუსტრიის წარმატებანი. საბჭოთა მრეწველობამ ომის მკაცრი გამოცდა ჩააბარა და განუხრელად ზრდის ფრონტისათვის პროდუქციის გამოშვებას.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმაც, რომელიც ჩაება სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ცდილობს მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინოს მამაც წითელ არმიას საზიზღარი მტრის განადგურებაში, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თავის მუშაობაში.

1944 წლის I-ლი ნახევრის პროგრამა ჩვენ 10,5 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულეთ 100-პროცენტიანი კომპლექტურობის პირობებში. ამავე პერიოდის განმავლობაში წარმოების ტექნიკისა და ორგანიზაციის სისტემატურად ამაღლების გზით — ნაკადური მეთოდის დანერგვით, დაზგებისა და ხელსაწყოების მოდერნიზაციით, ჭრის რეჟიმების გადასინჯვით, ნორმალების დამზადების გადაყვანით ავტომატებიდან ტვიორვაზე მაგარი შენადნობების ფართოდ გამოყენებით, ინსტრუმენტების უნიფიკაციით და სხვა ღონისძიებებით — შრომის ნაყოფიერება გაიზარდა გეგმასთან შედარებით 10,7 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 3,7 პროცენტით.

ჩვენი ქარხნის კოლექტივს 12 თვის მანძილზე განუწყვეტლივ უჭირავს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ახლა, როცა ომი შევიდა ყველაზე უფრო გამწვავებულ, გადამწყვეტ და ყველაზე უფრო ძნელ ფაზაში, კიდევ უფრო მეტი, უფრო უკეთესად, უფრო თავდადებულად უნდა ვიმუშაოთ.

იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ ჩვენი საწარმოების საწარმოო რეზერვები, განუწყვეტლივ უნდა ვაუმჯობესოთ წარმოების ორგანიზაცია და ტექნიკა, განუხრელად მივაწიოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. მისი თვითღირებულების შემცირებას, დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში, გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ წარმოების დანაკარგებთან.

საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, ვამრავლოთ სტახანოველთა რიცხვი.

ჩვენი მშობლიური წითელი არმიის გმირული წარმატებებით და ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა ზურგის მუშაკებისათვის მიცემული მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული კოლექტივი სტალინის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ავტოქარხნისა მოუწოდებს საბჭოთა კავშირის საწარმოების ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს დაიწყონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება.

ავტოქარხნელთა კოლექტივი კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:

1. ვადამდე დაამთავროს 1944 წლის 10 თვის საწარმოო პროგრამა და გამოუშვას გეგმის ზევით 58 მილიონი მანეთის პროდუქცია.

2. 3 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს 10 თვის პროგრამა ავტომობილების დარგში.

3. ამაღლოს შრომის ნაყოფიერება 1944 წლის მესამე კვარტალში 10 პროცენტით.

4. პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 10 თვის განმავლობაში შეამციროს 19 მილიონი მანეთით.

5. გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე ქარხნის 10 საამქრო.

6. გასწიოს III კვარტალსა და ოქტომბერში ელექტროენერგიის ეკონომია 4 პროცენტით და მაზუთისა 2,5 პროცენტით გეგმასთან შედარებით, გასწიოს მოსკოვსახლო მაღაროების ქვანახშირის ეკონომია იმავე პერიოდის განმავლობაში 3 ათასი ტონის რაოდენობით.

7. ტექნიკურ სწავლებაში ჩაიბას 2.500 კაცი.

8. თავის დროზე, უდანაკარგოდ აიღოს მოსავალი დამხმარე მეურნეობაში და ინდივიდუალურ ბოსტნებში.

9. სანიმუშოდ მოამზადოს საცხოვრებელი ბინები და ქარხნის საამქროები ზამთრისათვის, დროზე დაამზადოს სათბობ

პარტიული ცხოვრება

როგორ ვეხმარებით კადრებს მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლაში

ჩვენს კადრებს მუდამ ახსოვთ თავიანთი მოვალეობა — აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური დონე, დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმს. რაიონის მრავალი მოწინავე ადამიანი ბეჯითად სწავლობს ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, მარქსიზმის კლასიკოსთა რჩეულ ნაშრომებს.

რა დახმარებას უწევს რაიკომი აქტივს, რომელაც დამოუკიდებლად მუშაობს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაზე?

რაიკომის პარტკაბინეტში სისტემატურად ეწყობა ლექციები პარტიის ისტორიის, მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და მიმდინარე პოლიტიკის ცალკეულ საკითხებზე. წელს რაიონში წაკითხულ იქნა 265 ლექცია, რომელიც 24.560 კაცმა მოისმინა. ლექციებს კითხულობენ გამოჩენილი მეცნიერები—აკადემიკოსები ჯანაშია, ხაჭაპურიძე, ახვლედიანი, ბერძენიშვილი, კვალიფიციური ლექტორები ამხ. სულეიმანი, გოგუაძე, ბაგაძე და სხვები.

ლექციებს გარდა, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად რაიკომის მომხსენებლებისა და კონსულტანტების მეშვეობით პარტკაბინეტი აწყობს საუბრებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, ღია პარტიულ კრებებზე მხართავს პოლიტიკურ მოხსენებებს. წელს მოეწყო 72 ჯგუფური კონსულტაცია, რომელსაც 1.893 კაცი დაესწრო. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ღია პარტიულ კრებებზე პოლიტიკური მოხსენებების დასმა წარმოადგენს საუცხოო საშუალებას თეორიული საკითხების განხილვაში აქტივის ჩაბმისათვის.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტებისათვის მოწყობილია სემინარები, რომლებიც მეცადინეობენ სისტემატურად გარკვეული პროგრამის მიხედვით და ეხმარებიან აქტივს იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში. სემინარებზე დამუშავებულ იქნა თემები: „მხანაგი სტალინი გერმანიის ავანტიურის. იმპერიალიზმის შესახებ“, „მხანაგ სტალინის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარება სამამულო ომის პირობებში“ და ა. შ.

თეორიული კონფერენცია აქტივის მარქსისტულ-ლენინური სწავლების ერთ-ერთი ფორმაა. პარტიის რაიკომმა გულდასმით მოამზადა და ჩაატარა აქტივისათვის თეორიული კონფერენციები თემებზე: „ვინ არიან „ნაციონალ-სოციალისტები“?, „ლენინი და სტალინი სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ“.

ამას გარდა, იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის დამოუკიდებლად მომუშავეებს პარტკაბინეტი ეხმარებოდა ლიტერატურისა და დამხმარე მასალების შერჩევით, ბიბლიოგრაფიის შედგენით, ახალი წიგნების, ლიტერატურისა და დამხმარე მასალების თემატური გამოფენების მოწყობით.

ამ ძირითადად რა დახმარებას უწევს რაიკომი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აქტივის თეორიული სწავლებისათვის. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას. უნივერსიტეტის 200-ზე მეტი პროფესორი, დოცენტი და მასწავლებელი დამოუკიდებლად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს. პირველი წყაროების მიხედვით, რაც მათ უდიდეს დახმარებას უწევს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობაში. ქიმიკოსი ხუხია და გეოლოგი ძოწენიძე, პროფესორი ა. ჯაბადარი და დოცენტი ციციშვილი, პროფესორი გოზალიშვილი და დოცენტი გიკაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი მერკვილაძე და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ლ. ლოლუა და მრავალი სხვა სისტემატურად მუშაობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის.

უნივერსიტეტში წაკითხულ იქნა 650 ლექცია და მოხსენება მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ საკითხებზე. აქტივის დასახმარებლად უნივერსიტეტის პარტბიუროს მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრასთან ერთად ლენინის დღეებში მოაწყო სამეცნიერო სესია, რომელზეც წაკითხულ იქნა მოხსენებები თემებზე: „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ლენინისა და სტალინის დიადი მეგობრობა“, „ლენინი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ“ და „ლენინი სამხედრო ეკონომიკის შესახებ“. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრამ ჩამოაყალიბა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელშიც 120 კაცია გაერთიანებული, მეცადინეობს აგრეთვე 3 წრე მხანაგ სტალინის წიგნის — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ — შესასწავლად. უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია თავის კრებებზე ხშირად იხილავს აქტივის მარქსისტულ-ლენინური სწავლების საკითხებს და გამოაქვს კონკრეტული გადაწყვეტილებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მთელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კადრების მაღალი პოლიტიკური შეგნება საწარმოო წარმატებათა უცილებელი პირობაა. ეს კარგად იციან ბრიკშემსაქსოვი ფაბრიკის პარტიულმა და სამეურნეო მუშაკებმა. აქ დიდი ყურადღება ექცევა პარტიულ პროპაგანდას. ფაბრიკაში 54 აქტივისტი დამოუკიდებლად ეუფლება პარტიის ისტორიას, ხოლო წელში 18 კაცი სწავლობს. ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელმა 3 წრემ უკვე დაამთავრა მუშაობა. ამ წრეებში სწავლობდა 64 კაცი. ამჟამად მუშაობს მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი 2 წრე, რომლებშიც 43 მუშა და მოსამსახურე მეცადინეობს. თავის თავზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად ფაბრიკის პარტკაბინეტმა მოაწყო 13 ლექცია და 18 ჯგუფური კონსულტაცია. სისტემატურად იმართება ინდივიდუალური კონსულტაციები, ეწყობა ლიტერატურისა და დამხმარე მასალების თემატური გამოფენა. ღია პარტიულ კრებებზე მოეწყო პოლიტიკური მოხსენებები თემებზე: „წარმოების ეკონომიკა სამამულო ომის პირობებში“, „კომუნისტის უფლებები და მოვალეობანი“, „ლენინი და სტალინი—შრომის დისციპლინის შესახებ“ და სხვ. მომხსენებლები თეორიულ საკითხებს მჭიდროდ უკავშირებდნენ საწარმოს კონკრეტულ ამოცანებს. ასეთმა დაუღალავმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო-პოლიტიკური აქტივობა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

ფაბრიკის მრავალი მუშა სტახანოვური შრომის ნიმუშებს იძლევა. მაგალითად, ქვეოსტატები ამხ. ვ. ჩანგაძე და მამაჯანოვი ნორმის 120-140 პროცენტს იძლევიან, ფეიქრები ამხ. გ. რაჭველიშვილი და გამცემლიძე გეგმას 120-135 პროცენტით ასრულებენ, ხოლო ფეიქარი ამხ. კოპალეიშვილი ოთხი დაზგის მომსახურებაზე გადავიდა და დავალებას 27 პროცენტით აჭარბებს.

აქტივის პარტიულ სწავლებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტში, ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, უნაგირის ფაბრიკაში, მე-9 ქალთა საშუალო სკოლაში, აეროსარემონტო სახელოსნოებში, პუშკინის სახელობის სამსახწავლებლო ინსტიტუტში და რაიონის მთელ რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებებში.

აქტივის მარქსისტულ-ლენინური სწავლების დარგში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც გვაქვს. რაიონში არიან ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ოთხმეზაური) არ ამოწმებს და არ ეხმარება მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელ; ინსტიტუტში არ გამართულა არც ერთი თეორიული კონფერენცია. ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ამხ. შენგელია) პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა სიაც კი არა აქვთ. აქ პროფესორ ბურსტოვის მოხსენებას — „ლენინი ელექტროფიკაციის შესახებ“ ინსტიტუტს 108 თანამშრომლიდან მხოლოდ 15 კაცი დაესწრო. ლექციაზე არ მოვიდა თვით პარტბიუროს მდივანი ამხ. შენგელაია. ასევე უმოქმედობას იჩენენ აქტივის პოლიტიკური სწავლების საქმეში ფიზკულტურის ინსტიტუტის (მდივანი ამხ. ჯაველიძე), „გრუზსელელექტროს“ (მდივანი ამხ. გუშბერიძე) პარტიულ ორგანიზაციები.

რა ძირითადი ნაკლოვანებები გვაქვს აქტივის პოლიტიკური სწავლების დარგში?

პირველი. ზოგი პარტიული ორგანიზაცია საკმაო კონტროლს არ უწევს კომუნისტებს—თუ როგორ მუშაობენ ისინი თავიანთ თავზე. ამის შედეგად ცალკეულმა ამხანაგებმა შეასუსტეს ზრუნვა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

მაშასადამე, საჭიროა სისტემატურად გამოწმებდეთ კომუნისტების მუშაობას თავიანთ თავზე და კონკრეტულად ვეხმარებოდეთ მათ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში.

მეორე. ზოგი პარტიული ორგანიზაცია დიფერენცირებულად არ უდგება ადამიანებს და ლექციებს. მოხსენებებისა და კონსულტაციების მოწყობის დროს არ ითვალისწინებს მათი მომზადების დონის სხვადასხვაობას.

მაშასადამე, საჭიროა ვიცოდეთ და ლექციებისა და მოხსენებების მოწყობის დროს გავითვალისწინოთ კადრების მომზადების დონე და მოთხოვნები, აუდიტორიის შემადგენლობა და თავისებურობანი.

მესამე. არასაკმაოდ ეწყობა ლექციების ციკლი პარტიის ისტორიის, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის, მარქსისტული ფილოსოფიის, საერთაშორისო მდგომარეობისა და წარმოების ეკონომიკის საკითხებზე.

მაშასადამე, ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოსწორონ ეს ნაკლოვანება და დაუთმონ ლექციების ციკლის მოწყობას, რომლებსაც გარკვეული სისტემა და ორგანიზებულობა შეაქვთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა მუშაობაში.

ორჯონიკიძის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უკეთ მოაწყონ აქტივის თეორიული სწავლება.

მათ იციან, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების დაუფლებით ჩვენი აქტივისტები უფრო მეტი წარმატებით შეასრულებენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე, დიდი სტალინის წინაშე, რომლის გენიალური მხედართმთავრობით გმირი წითელი არმია განაგრძობს თავის ძლევამოსილ გზას დასავლეთისაკენ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისათვის.

თ. ქვლივიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის კონსულტანტი ამხ. ვ. მირიანაშვილი საუბარს ატარებს პროპაგანდისტებთან საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მერვე თავზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

აქტივის ჰორიზონტის შესახებ

ზიათურა, („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). საკავშირო კ. პ. (ბ) წევრებში ნათქვამია: „პარტიის წევრი ვალდებულია: დაუღალავად მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად“.

მარგანეცის ქალაქის ბევრი კომუნისტი კარგად ასრულებს პარტიის წესდების ამ მოთხოვნას, გულმოდგინედ სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს, ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას, კითხულობს ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს. მაგრამ ყველაზე ასე როდი ითქმის. ზოგიერთი არასაკმაოდ ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ამხ. ა. თხელიძე კომუნისტი ინჟინერი, მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს ერთ-ერთი საამქროს უფროსია და ამავე დროს საამქროს აგიტატორი. ამხ. თხელიძეს შესაძლებლობა აქვს დამოუკიდებლად ამუშაოს წიგნზე, შეისწავლოს ბოლშევიკური პარტიის ისტორია, წაიკითხოს ჟურნალ-გაზეთები, გაეცნოს უახლეს ტექნიკურ ლიტერატურას და გაიფართოოს თავისი ცოდნის ჰორიზონტი. მაგრამ ამხ. თხელიძე ასე არ იქცევა. ორი-სამი წელია, რაც ამხ. თხელიძეს წიგნი არ წაუკითხავს. ჩვენ მარტო პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურაზე როდი ვლაპარაკობთ. ამხ. თხელიძეს ტექნიკური ლიტერატურა არ აინტერესებს. ამით აიხსნება, რომ ამხ. თხელიძე, როგორც აგიტატორი, მსმენელებს ყოველთვის დამაკმაყოფილებელ განმარტებებს ვერ აძლევს.

ამხ. ხახნიაშვილმა (მექანიკური სახელოსნოს პარტბიუროს წევრი) განაცხადა, რომ მეორედ სწავლობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს, მაგრამ გამოირკვა, რომ მან ნაროდნიკებზე მხოლოდ ის იცის, რომ მათი ლიდერი პლეხანოვი იყო(?!).

აგიტატორ ვლ. ჭილაშვილის (მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს მთავარი ბუხპალტერი) ერთ-ერთი საუბარი პოლონეთის საკითხს შეეხებოდა. როცა მას კერზონის ხაზი უხსენეს, დაიბნა, ვერ უჭვენა სად გადის ეს ხაზი. კომუნისტი ინჟინერები ამხ. ლ. არსენიძე, და შ. ლომთათიძე სტალინის სახელობის მაღაროს უბნის გამგეები და ამავე დროს აგიტატორები არიან. ამ ამხანაგებს ორ წელზე მეტია წიგნი არ წაუკითხავთ. ამის შედეგია, რომ ამხ. ლომთათიძემ ისიც კი არ იცოდა, სად არის თეირანი ან რა გადაწყვეტილებანი მიიღო თეირანის კონფერენციამ. ეს ამხანაგები აცხადებენ, რომ მათ დაამთავრეს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა, მაგრამ იმასაც კი ვერ უპასუხეს, თუ რა საკითხები განიხილა პარტიის პირველმა და მეორე ყრილობამ.

ჩვენ აქ რამდენიმე ამხანაგი დავასახელეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ამხანაგების რიცხვი ჭაათურაში მეტია. ისინი უმთავრესად დროს უქონლობით ცდილობენ თავი იმართლონ. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. აქ მთავარი მონდომებაა. ვისაც უნდა ისწავლოს, ცოდნა გაიღრმავოს, გაიფართოოს კულტურულ-პოლიტიკური ჰორიზონტი, ვინც გულით მოიწადინებს წაიკითხოს რამე, სამისო დროს ყოველთვის იშოვის. მხოლოდ საჭიროა ამ საქმეში კომუნისტებს პარტიული ორგანიზაცია ყოველნაირად დაეხმარონ.

პ. ჭიოკაძე

უკეთ მოვაწყოთ კომკავშირელთა სწავლება

სიღნაღის რაიონში კომკავშირის ორგანიზაცია ხშირად აწყობს ლექციებს და მოხსენებებს. ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკები თვითონ იღებენ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას. წელს რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ამხ. ი. ჭიაბაშვილმა 9 ლექცია და მოხსენება წაიკითხა. იგი სერიოზულად მუშაობს თავის თავზე, კითხულობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს. ახალგაზრდობაში მოხსენებებით გამოდიან კომკავშირის რაიკომის მდივნები ამხ: ზ. ბოლაშვილი და ამხ. ვ. ტუხაშვილი.

მაგრამ რაიონში კომკავშირული აქტივის თეორიული სწავლება არ არის კარგად ორგანიზებული. ამის შედეგია, რომ ბევრი კომკავშირელი აქტივისტი თვეობით არ იღებს ხელში წიგნს და გაზეთს და კარგად ვერ ერკვევა თანამედროვე ვითარებაში.

სიღნაღის ტერიტორიული კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. თ. კუზანოვი ასე განმარტავს თანამედროვე ვითარებისა და პარტიის ისტორიის ზოგიერთ საკითხს: „ანტონესკუ პარიზიდან გაიქცა“, „წითელი არმია საფრანგეთის ტერიტორიაზე იბრძვის“, და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველ თავში „ლაპარაკია 1905 წლის რევოლუციაზე“.

კომკავშირის რაიკომის კულტურულ-მასობრივი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. შ. ბაბაევას რამდენიმე თვეა საყურადღებო არაფერი წაუკითხავს.—პარტიის ისტორიაც კარგახანია შეუსწავლელ წაკითხვა ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ბევრს ვმეცადინეობდი, გაკითხულობდი მხატვრულ ლიტერატურასაც. მაგრამ ამ კლუბის ხელმძღვანელებს ამ საქმეში ხელი არ შეუწყვიათ.

ამ ნაკლოვანებათა მიზეზი ისაა, რომ ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ ჰყავს ისეთი ახალგაზრდა მუშები, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მათ არა აქვთ შექმნილი მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები. ამის გამო შახტებში ადგილი აქვს ახალგაზრდობის ხშირ სამუშაოს მიტოვების შემთხვევებისაც.

ამ დღეებში საქართველოს ალკა ტყიბულის რაიკომის პლენუმმა სპეციალურად განიხილა ახალგაზრდა მუშახტეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკა ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ტ. ბერგაძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტყიბულის შახტებში ახალგაზრდა მეშახტეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს გაუმჯობესებისათვის საკმაოდ არ ზრუნავენ. გელათის მაღაროში ბევრი ახალგაზრდა უბანაოდაა, აკლიათ ლოგინები, საერთო საცხოვრებელში უსუფთაოებაა, არ მუშაობს აბანო.

სტალინის სახელობის შახტის უფროსის მოადგილე მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოწყობის დარგში ამხ. მ. ვაჭარაძე გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს ახალგაზრდა მეშახტეებისადმი. ახალგაზრდებს განათებაც არ ჰქონდათ საერთო საცხოვრებელში. არ იყო ლოგინები და სხვა ინვენტარი. ამიტომ ახლადმიღებული მუშების დიდმა ნაწილმა სამუშაო მიატოვა. ამავე შახტის იმ საერთო საცხოვრებელში, სადაც საფაბრიკო-საქარხნო სკოლადამთავრებული მეშახტეები ცხოვრობენ, უსუფთაობაა. ოთახებში არ არის წყლის ჭურჭელი.

ბაჭრაძის ქუჩაზე მდებარე № 9 საერთო საცხოვრებელში, სადაც ახალგაზრდები ცხოვრობენ, ოთახები შეუკეთებელია, წვიმა ჩამოდის, თეთრეული თავის დროზე არ იცვლება.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. მ. დოლონჯაძე.

პლენუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივნებმა ამხ. ე. ჯვებენაძემ და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. გორგიძემ, ახალგაზრდა მეშახტეების კულტ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის დასახა ღონისძიებანი.

დ. ქათამაძე

მოხსენება რაიონის აქტივისათვის

ამას წინათ ქობულეთში რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ჯაშმა ჩაატარა მოხსენება თემაზე: „მომდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“. ამხ. ჯაშმა ასევითვე მოხსენება გააკეთა სოფელ ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში.

ამხ. მ. ჯაშის მოხსენებამ მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ა. ახალაძე

გავაუმჯობესოთ ახალგაზრდა მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). დიდი სამამულო ომის პერიოდში ტყიბულის შახტებში ბევრი ახალგაზრდა მუშა მოვიდა. მათი დიდი უმრავლესობა გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს. მაგრამ შახტებში ჯერ კიდევ არიან ისეთი ახალგაზრდა მუშები, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მათ არა აქვთ შექმნილი მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები. ამის გამო შახტებში ადგილი აქვს ახალგაზრდობის ხშირ სამუშაოს მიტოვების შემთხვევებისაც.

ამ დღეებში საქართველოს ალკა ტყიბულის რაიკომის პლენუმმა სპეციალურად განიხილა ახალგაზრდა მეშახტეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკა ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ტ. ბერგაძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტყიბულის შახტებში ახალგაზრდა მეშახტეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს გაუმჯობესებისათვის საკმაოდ არ ზრუნავენ. გელათის მაღაროში ბევრი ახალგაზრდა უბანაოდაა, აკლიათ ლოგინები, საერთო საცხოვრებელში უსუფთაობაა, არ მუშაობს აბანო.

სტალინის სახელობის შახტის უფროსის მოადგილე მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოწყობის დარგში ამხ. მ. ვაჭარაძე გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს ახალგაზრდა მეშახტეებისადმი. ახალგაზრდებს განათებაც არ ჰქონდათ საერთო საცხოვრებელში. არ იყო ლოგინები და სხვა ინვენტარი. ამიტომ ახლადმიღებული მუშების დიდმა ნაწილმა სამუშაო მიატოვა. ამავე შახტის იმ საერთო საცხოვრებელში, სადაც საფაბრიკო-საქარხნო სკოლადამთავრებული მეშახტეები ცხოვრობენ, უსუფთაობაა. ოთახებში არ არის წყლის ჭურჭელი.

ბაჭრაძის ქუჩაზე მდებარე № 9 საერთო საცხოვრებელში, სადაც ახალგაზრდები ცხოვრობენ, ოთახები შეუკეთებელია, წვიმა ჩამოდის, თეთრეული თავის დროზე არ იცვლება.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. მ. დოლონჯაძე.

პლენუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივნებმა ამხ. ე. ჯვებენაძემ და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. გორგიძემ, ახალგაზრდა მეშახტეების კულტ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის დასახა ღონისძიებანი.

დ. ქათამაძე

თეორიული კონფერენცია

ზუგდიდი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ზუგდიდის სამედიცინო დაწესებულებებთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის ბიურომ (მდივანი ამხ. კ. ეგუტია) ერთი თვის წინათ მიიღო გადაწყვეტილება თეორიული კონფერენციის მოწყობის შესახებ. კონფერენცია მიეძღვნა თემას: „ბოლშევიკების პარტია უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში“ (1918-1920 წლები).

კონფერენციის მომზადებისა და ჩატარების საკითხები წინასწარ იქნა განხილული.

თეორიულ კონფერენციას წინ უძღოდა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. მაგალითად, მოეწყო კონსულტაციები ქვეთემებზე: „უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის დასაწყისი. სამოქალაქო ომის პირველი პერიოდი“, „გერმანიის სამხედრო დამარცხება. რევოლუცია გერმანიაში“, „პარტიის VIII ყრილობა“. ჯგუფურ კონსულტაციებს ესწრებოდა 50-60 კაცი. ეწყობოდა ინდივიდუალური კონსულტაციებიც.

პარტორგანიზაციამ კონფერენციის მონაწილეებს ფართოდ გააცნო თემის საკითხები. ამხანაგებს ყოველდღიური კავშირი ჰქონდათ პარტიულ კაბინეტთან. კონფერენციის ყველა მონაწილე ამეღავნებდა სერიოზულ დამოკიდებულებას ამ საქმისადმი. ერთი თვის მზადების შემდეგ ჩატარდა თეორიული კონფერენცია, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. თემაზე: „ბოლშევიკების პარტია უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში“ მოხსენება გააკეთა ექიმმა, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატმა ამხ. ვ. მეუნარგიამ. მოხსენება კარგი იყო.

კამათში მონაწილეებმა თემით გათვალისწინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს. მოხსენება შეავსეს ამხ. პ. პეტრიდისმა და ნ. ჩახაიამ. ამხ. ბ. გობეჩიამ თავის გამოსვლაში საინტერესოდ გააშუქა საკითხი „კომუნისტური შაბათობები და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ“. მომხსენებლებსა და სიტყვებით გამოსულებს მოჰყავდათ თემიდან გამომდინარე საკითხებზე ციტატები ლენინისა და სტალინის ნაშრომებიდან.

კონფერენციას 92 კაცი დაესწრო. სიტყვით გამოვიდა სულ 9 კაცი. მომხსენებელმა პასუხი გასცა მრავალ შეკითხვაზე.

ხ. გერულავა

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი

თქვენი ყურადღებისათვის

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევენ ლუვენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გადალახეს ალბერტის არხი ბეერინგენის ახლოს. 7 სექტემბერს საღამოს მეწინავე ნაწილებმა მიაღწიეს ბურლეოპოლდის რაიონს. მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ანრი და რულეს მიუახლოვდნენ. მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ ოპერაციების წარმოებას ბულონისა და კალეს გარშემოსარტყმელად.

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ჩელციის სამხრეთ რაიონებში მოქმედებენ, დიდ კავშირი, რომელიც ბრიუსელის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. სხვა ნაწილებმა, რომლებიც მდინარე მაასის გასწვრივ მოწინავდნენ წინ ნამიურიდან, იღი გაათავისუფლეს. ამ ნაწილების მეწინავე რაზმები მიუახლოვდნენ ლიეჟს დასავლეთიდან. მოკავშირეთა ნაწილებმა გადალახეს მოზელი პონ-ი-მუსონის ჩრდილოეთით და მტრის ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდნენ.

8 სექტემბერს ცუდი ატმოსფერული პირობები ზღუდავდა ავიაციის მოქმედებას.

საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

განსაკუთრებით არახელსაყრელმა ამინდმა იტალიაში შეზღუდა მოკავშირეთა ჯარების შეტევითი ოპერაციები. გრძელდება გაფიორებული ბრძოლები ადრიატიკის სექტორში, სადაც მე-8 არმიის ნაწილებმა მოიკრიეს მტრის მრავალი კონტრიერიში და მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მიაყენეს.

ფლორენციის ჩრდილოეთით გრძელდება პატრულების მოქმედება. ფლორენციის დასავლეთით მე-5 არმიის ამერიკელთა პატრულებმა წინ წაიწიეს მთავარი ადგილის სიღრმეში დუკა-პრატოს გზის ჩრდილოეთით.

მე-7 არმიის ამერიკელთა ნაწილები სწრაფად მიიწევდნენ წინ აღმოსავლეთ სავფრანგეთში, მიაღწიეს ბეზანსონს და შეხვდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, რომელიც ცდილობდა უკანდასახევი გზები დაეფარა. საფრანგეთის ჯარებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა, აიღეს პონტარლიე, შეიპყრეს საზღვრის ახლოს.

ცუდი ამინდი ხელს უშლიდა მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებას.

მოკავშირეთა ჯარებმა სედანი დაიკავეს

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდეს.). ომარეს გადმოგვცემს რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი, რომელიც მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ოფიციალურ ცნობაზე ადრე შეიტყო ამ ამბავი.

მოკავშირეთა ჯარები სედანში შევიდნენ დღეს დილით.

შესწყდა ევაკუაცია ლონდონიდან და სამხრეთ ინგლისიდან

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა შესწყვიტოს ევაკუაცია დიდი ლონდონიდან და სამხრეთ ინგლისიდან. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ინგლისის თვითმფრინავ-ყუმბარების თავდასხმების საფრთხე თავიდან არის აცილებული.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა გერმანიის ქარხნებზე

ლონდონი, 8 სექტემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, „ლიბერეიტორ“ და „მფრინავი სიმაგრის“ 1.000-ზე მეტმა თვითმფრინავმა „მუსტანგის“ მარკის თვითმფრინავების თანხლებით დღეს იერიში მიიტანა ქიმიურ საწარმოებზე და სინთეზური ნავთის ქარხნებზე ლუდვიგსჰაფენში. გარდა ამისა, ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს საარტილერიო საწყობი კასტელში, მაინცის ახლოს, ავრეთვე სატანკო ქარხანა გუსტავსბურგში, ფრანკფურტის სამხრეთ-დასავლეთით.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 8 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ სერბიაში იუგოსლავიის ნაწილები პოეგიის დაკავების შემდეგ განაგრძობენ წარმატებითს შეტევას. დაკავებულია ქალაქი არილე, პოეგის სამხრეთ